პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

____ აგვისტო, 2020 წელი ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის სახლხო აკადემია"-სათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, ზვიად გამსახურდიას ქ. N6-ში მდებარე 67,18 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (საკადასტრო კოდი 05.21.09.011.01.531) 2 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის სახალხო აკადემია"-სათვის (ს.კ. 445583538) სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3 . განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის სახლხო აკადემია"-სათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის სახალხო აკადემია"-ს წერილი (N10; N13344/25; 31.07.2020 წ.), რომელშიც აღნიშნულია, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში დაფუძნდა და ჩამოყალიბდა ბათუმის „სახალხო აკადემია", სადაც გაერთიანდნენ ქალაქის ცნობილი ადამიანები: ხელოვნების დამსახურებული მოღვაწენი, მწერლები, პოეტები, მხატვრები, არქიტექტორები, თეატრალები. 56 წლის მანძილზე ბათუმის „სახალხო აკადემიელებს" ადგილსამყოფელი ანუ როგორც იტყვიან ნავსაყუდელი არ გააჩნდა. ჯერ იყო და „ინტურისტის" კაფეში იკრიბებოდნენ, შემდეგ იმჟამინდელ რესტორან „აჭარა"-ს კაფეში, ხოლო 1990 წლიდან კი კაფე „საამოში", ე.წ. „სტეკლიაშკაში". 2018 წელს ბათუმის „სახალხო აკადემიამ" იზეიმა მისი დაარსებიდან 55 წლისთავის იუბილე, მაგრამ სხვის ჭერქვეშ. ქალაქ ბათუმის სახალხო აკადემია არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. იგი ადრეც და ამჟამადაც ღებულობს მონაწილეობას ქალაქ ბათუმისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა იმ ღონისძიებაში, რომელსაც მოაქვს დადებითი თვისებები ხალხის კეთილდღეობისათვის. ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის სახალხო აკადემია" თხოვს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას საოფისე ადგილსამყოფელით უზრუნველყოფას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის სახალხო აკადემია"-ს (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების, მწერლების, პოეტების, მხატვრების, თეატრალების, არქიტექტორების და ა.შ.) გაეწიოს საქმიანობაში ხელშეწყობა საოფისე ფართით უზრუნველყოფის გზით და მას უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით სარგებლობაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, ზვიად გამსახურდიას ქ. N6-ში მდებარე 67,18 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (საკადასტრო კოდი 05.21.09.011.01.531).

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის სახალხო აკადემია"-ს (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების, მწერლების, პოეტების, მხატვრების, თეატრალების, არქიტექტორების და ა.შ.) საქმიანობაში ხელშეწყობა საოფისე ფართით უზრუნველყოფის გზით - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართის ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის სახალხო აკადემია"-სათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელოება ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე გავლენას არ მოახდენს

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით კოპინაძე